ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.თბილისი

03 ოქტომბერი 2016 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრსა" და სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს" შორის 2016 წლის 19 სექტემბერს დადებული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების №19/09-2 ფარგლებში გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით, სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი:

სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის" ტექნიკური ადმინისტრატორი:

ქეთევან ლებანიძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „03" ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი: ერთის მხრივ სსიპ **"თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი" მისი ტექნიკური ადმინისტრატორის ქეთევან ლებანიძის** სახით და მეორეს მხრივ სსიპ **„ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი" მისი სამხატვრო ხელმძღვანელის დიმიტრი ხვთისიაშვილის** სახით 2016 წლის 19 სექტემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულება **№19/09-2**-ის თანახმად ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მომსახურების გამწევმა მომსახურების მიმღებს გაუწია შემდეგი სახის მომსახურება:

დაუთმო მოზარდ მაყურებელთა თეატრის დიდი სცენა 2016 წლის 25 სექტემბერს 22:00 საათიდან დეკორაციის მონტაჟისათვის, 2016 წლის 26 სექტემბერს 09:00 საათიდან რეპეტიციისათვის და სპექტაკლის **"წყლად გადაიქეცი" (კარი ჰოას პროდაქშენი)** გასამართად, 2016 წლის 03 ოქტომბერს 09:00 საათიდან რეპეტიციისათვის და სპექტაკლის **"მეფე ჯონი" (გ. სუნდუკიანის სახელობის ერევნის ნაციონალური აკადემიური თეატრი)** გასამართად (შემდგომში "სპექტაკლები"), გაუწია ტექნიკური მომსახურება, რაც დაკავშირებული იყო სპექტაკლების გამართვასთან (ტექნიკური მომსახურების ზუსტი ჩამონათვალი მითითებულია ხელშეკრულების №1 დანართში) CPV- 79952100.

წინამდებარე აქტი ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას და წარმოადგენს დადგენილი ანაზღაურების გადახდის საფუძველს. საერთო თანხა შეადგენს **2000.00 (ორიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრთან" ხოლო მეორე – სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან".

აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

მომსახურების მიმღები:

სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"
მის: შარტავას ქ. №7
ს/კ 205280177
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22

მომსახურების გამწევი:

სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი"
მის: დ. აღმაშენებლის გამზ.№99/1
ს/კ 202063989
სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ TRESGE22
ა.ა 708197173

ტექნიკური ადმინისტრატორი:

ქეთევან ლებანიძე

(ბ.ს.)

სამხატვრო ხელმძღვანელი

დიმიტრი ხვთისიაშვილი

(ბ.ს.)